# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №63

22 ივნისი 2018წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო

ერთის მხრივ გორის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მერის **კონსტანტინე** თავზარაშვილი სახით და მეორეს მხრივ ი.მ ზვიად ღონღაძე ს/კ **59001009253** (შემდგომში „მიმწოდებელი"), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

**1.ხელშეკრულების საგანი**

1.1 ხელშეკრულების საგანია: გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის ბიუჯეტის სახსრებით საჩუქრების და ჯილდოების (**CPV 18530000)** შესყიდვა, **წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად** შესყიდვის საფუძველია წარმომადგენლობითი ხარჯი.

## 2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: სასაჩუქრე გორის მუნიციპალიტეტის რუქა (ორგმინა, ფერადი) სადგამით და წარწერით 10 (ათი) ცალი.

** წარწერა შემსყიდველთან შეთანხმებით*

## 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულება შეადგენს **90 (ოთხმოცდაათი)** ლარს.

3.3. შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება შეადგენს **900 (ცხრაასი)** ლარს, მომსახურების მიწოდებასთან, ასევე წინამდებარე ხეკლშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

## 4. საქონლის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან **2018წლის 28 ივნისის ჩათვლით.**

4.2 მიწოდების ადგილია – **გორი, ფერაძის №5.**

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების მიწოდების განხორციელების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **თამაზ უკანწყაროელი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ხელმძღვანელი .**

5..3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

## 6. ანგარიშსწორება და ფასები

6.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

6.2 ანგარიშსწორება მოხდება მიწოდებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის, ზედნადების და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტების გაფორმებიდან არა უგვიანეს **10 სამუშაო** დღის განმავლობაში.

6.3 დაფინანსების წყარო - **ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.**

6.4 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

6.5 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
6.6 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი ვალდებულია:
7.1.1 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადახდა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
7.2 მიმწოდებელი ვალდებულია:
7.2.2 უზრუნველყოს მომსახურების გაწევა დადგენილი პირობების შესაბამისად, პასუხი აგოს მიწოდებული საქონლის ხარისხზე;
7.3 მიმწოდებელი ვალდებულია, შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს პრობლემის აღმოფხვრა.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრისმიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.
8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
9.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10.ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მომსახურება;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;
10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი

ვალდებულებების შესრულებისგან;

10.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 13. გამოყენებული სამართალი

13.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ინსპექტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 14. ხელშეკრულების ენა

14.1 ხელშეკრულება და ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

## 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს **2018წლის 31 ივლისამდე.**

## 16. სხვა პირობები

16.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, **სამ** ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი

იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი „მიმწოდებელთან'' და ორი პირი „შემსყიდველთან''). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მასშემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 17. მხარეთა რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
| გორის მუნიციპალიტეტის მერია | ი.მ ზვიად ღონღაძე |
| ს/კ 218086087 | ს/კ **59001009253** |
| მის: გორი, ფერაძის #5 | მის: გორი, ევდოშვილის 16 |
| სახელმწიფო ხაზინა | ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“ |
| კოდი: TRESGE22 | ბანკის კოდი: BAGAGE22 |
| ა/№ 300843460 | ა/№GE08 BG00 0000 0570 5277 00 |
| გორის მუნიციპალიტეტის მერი | ინდ/მეწარმე |
| კონსტანტინე თავზარაშვილი | ზვიად ღონღაძე |

# გორის მუნიციპალიტეტის მერია

## ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

**ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 22 ივნისის 2018წ.**

მიმწოდებელი: ი.მ ზვიად ღონღაძე ს/კ **59001009253**

ხელშეკრულება: # 63

საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების" მე-8 მუხლის ,,ინტერესთან კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები" შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელმოწერით ადასტურებს, რომ ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან შესყიდვის განხორციელებაში მათი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

გორის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე თავზარაშვილი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ალ.თარხნიშვილი

შესყიდვების განყოფილების ხელმძღვანელი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის

მატერიალურ-ტექნიკური უზრნველყოფის თამაზ უკანწყაროელი

ხელმძღვანელი